საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 42 24 25/06/2020

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 30.08.39.104 საკადასტრო კოდზე მდებარე 1125.0 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სსიპ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლისთვის“ უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 აგვისტოს №42 53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ - საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 30.08.39.104 საკადასტრო კოდზე მდებარე 1125.0 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სსიპ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლისთვის“ უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 აგვისტოს №42 53 განკარგულების

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 30.08.39.104 საკადასტრო კოდზე მდებარე 1125.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სსიპ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლისთვის“ უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.“

ბ) განკარგულების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიეცეს თანხმობა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 30.08.39.104 საკადასტრო კოდზე მდებარე 1125.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გადასცეს სსიპ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო

სკოლას“ (ს/კ 225065327) უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით (არსებობის ვადით)“.“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.N11, ხელმოწერიდან ერთის თვის ვადაში.

შალვა მშვილდაძე

საკრებულოს თავმჯდომარე